სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

19 აგვისტო 2026

N 596/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში შპს „რონი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „რონი“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილი იქნა კოდექსის II დანართის 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამუშავება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გეგუთში (ვარციხის დასახლება) შპს „რონი“-სა და შპს „თვარაძე“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 29.14.33.411, 29.14.33.010, 29.14.33.263; ჯამური ფართობი: 9 039 $მ^2$) მოწყობილ საწარმოში ხორციელდება. სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ შპს „თვარაძე“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით (ს/კ: 29.14.33.010 და 29.14.33.263) შპს „რონი“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს, თუმცა, აღნიშნული მიწის ნაკვეთებით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი და სარგებლობის უფლება არც მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საჯარო რეესტრიდან ამონაწერებში (26.03.2026) ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს საქმიანობაზე 2016 და 2020 წლებში შეთანხმებულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები. 2020 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის თანახმად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიას წარმოადგენდა შპს „თვარაძე“-ს საკუთრებაში არსებული მხოლოდ ერთი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 29.14.33.010). შესაბამისად, სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორია გაფართოვდა და დამატებით ორი მიწის ნაკვეთი (ს/კ: 29.14.33.411 და 29.14.33.263) იქნა ათვისებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტია ვარციხის წყალსაცავი, რომელიც აღმოსავლეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 73 მეტრში მდებარეობს. საწარმოს ტერიტორიის სამხრეთით,

დაახლოებით 220 მეტრში, ვარციხე ჰესის სადერივაციო არხია განთავსებული. საწარმოს ტერიტორია ვარციხის წყალსაცავის 300 მეტრიან ზოლშია მოქცეული და აღნიშნულ ტერიტორიასა და წყალსაცავს შორის გეგუთი-ვარციხის საავტომობილო გზა გადის. ვარციხის წყალსაცავის მარჯვენა მხარეს, მარჯვენა სანაპიროს დატბორვისაგან დაცვის მიზნით, მიწის დამბაა მოწყობილი. დამბის მარცხენა (წყალსაცავის მხარე) კიდე მოსახულია ბეტონის კედლით და ბეტონის მოაჯირია მოწყობილი. ზემოაღნიშნული ინფორმაციისა და შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს გაფართოებული ტერიტორიის გათვალისწინებით, საწარმოს საქმიანობის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის №440 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თავსებადობა დეტალურ შესწავლა-შეფასებას და სათანადო დასაბუთებას საჭიროებს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოდან დაახლოებით 5 და 30 მეტრში განთავსებულია შპს „ფაზისი“-ს (ს/კ: 29.14.33.002) და შპს „ზეემ სთოუნ“-ის (ს/კ: 29.14.33.321) ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი უფუნქციო საწარმოები, ხოლო დაახლოებით 25 და 90 მეტრში – შპს „ნორდსთოუნი“-ს (ს/კ: 29.14.33.239) და შპს „ზ.მ.“-ს (ს/კ: 29.14.33.250; 29.14.33.157) ბეტონის/სამშენებლო ბლოკის და ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი მოქმედი საწარმოები.

წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულია, რომ შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი კორპუსი ჩრდილოეთით, საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 580 მეტრში მდებარეობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში საწარმოს ტერიტორიის 500-მეტრიან რადიუსში არსებული შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია სრულად არ არის წარმოდგენილი. კერძოდ, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიას, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებით, შპს „ვარციხე 2005“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ: 29.14.33.073 და 29.14.33.071) ესაზღვრება, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – გიორგი მეფარიშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 29.14.33.156). აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები, რომელთა ფუნქციური დანიშნულებები გაურკვეველია. შესაბამისად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების მიმღები რეცეპტორები სკრინინგის განცხადებით სრულყოფილად ვერ დგინდება, რაც აღნიშნული საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „რონი“-ს დამონტაჟებული აქვს დამატებითი ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზები, რის საფუძველზეც ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობის გაზრდას გეგმავს. ვინაიდან აღნიშნული სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზები კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე მოეწყო, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს გადაეგზავნა.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობა 115 $მ^3$/სთ-მდე გაიზრდება. კერძოდ, პირველი ტექნოლოგიური ხაზის წარმადობა 65 $მ^3$/სთ, ხოლო მეორე და მესამე ტექნოლოგიური ხაზების ჯამური წარმადობა 50 $მ^3$/სთ იქნება. სამუშაო რეჟიმიდან (წელიწადში 250 დღე, დღეში 8 საათი) გამომდინარე, საწარმო წლიურად 230 000 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის გადამუშავებას უზრუნველყოფს. პირველ და მეორე ტექნოლოგიურ ხაზებზე ქვიშა-ხრეშის გადამუშავება სველი მეთოდით, ხოლო მესამე ტექნოლოგიურ ხაზზე – მშრალი მეთოდით განხორციელდება. საწარმოს ტერიტორიაზე, საკუთარი ავტოტრანსპორტის გასამართად, ასევე განთავსებულია დიზელის ავტოგასამართი (14 ტონა ტევადობის დიზელის სამარაგო ავზი და და გასაცემი მოწყობილობა), რომელიც

მიწისზედა მობილურ კონტეინერს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის მიხედვით, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს წლიური წარმადობა 52 000 $м^3$-ს (108 000 ტ) შეადგენდა, ხოლო ტექნოლოგიური პროცესი სასარგებლო წიაღისეულის სველი მეთოდით გადამუშავებას ითვალისწინებდა. შესაბამისად, წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით, საწარმოს წარმადობა არსებითად იზრდება, ხოლო ტექნოლოგიური პროცესი სასარგებლო წიაღისეულის როგორც სველი, ისე მშრალი მეთოდით გადამუშავებას ითვალისწინებს. ამასთან, ტექნოლოგიურ პროცესთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილებაში 2026 წლის 14 ივლისს შეტანილი ცვლილებები, რომლითაც მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოების მიმართ ახალი რეგულაციები დადგინდა. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების მე-3 დანართით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის) 7^1 პუნქტით, მყარი სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებისთვის, მტვერჩახშობის უზრუნველყოფის მიზნით, დამატებითი სავალდებულო პირობები განისაზღვრა, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელებისას. შესაბამისად, შპს „რონი“-ს საქმიანობა ზემოაღნიშნული პუნქტით დადგენილ პირობებთან თანხვედრაში მოყვანას საჭიროებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელ საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნით. დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოში სასმელი წყალი ჩამოსხმული სახით შედის, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლის აღების მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციით, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს საექსპლუატაციო ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღით სარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება. შესაბამისად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის ამოღების მიზნით მოწყობილი ჭაბურღილიდან წყლის მოპოვებაზე სსიპ მინერალური რესურსები ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიის არსებობის საკითხი გაურკვეველია. რაც შეეხება საწარმოო დანიშნულებით წყალაღებას, აღნიშნული ხორციელდება ვარციხის წყალსაცავის სადრენაჟო-სანიაღვრე წყალშემკრები არხიდან (GPS კოორდინატზე: X-310691 Y-4669768), არსებული სატუმბი სადგურის მეშვეობით. აღნიშნული არხი შპს „ვარციხე-2005“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარეობს, ხოლო წყალაღების საკითხი შეთანხმებულია არხის მესაკუთრესთან. საწარმოო დანიშნულებით წელიწადში ჯამურად 360 000 $м^3$ წყლის მოხმარებაა გათვალისწინებული.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელ საწარმოში წარმოიქმნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ჩამდინარე წყლები. ვინაიდან საწარმოს ტერიტორიაზე ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა არ არსებობს, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები საასენიზაციო ორმოში იკრიბება, რომლის მომსახურებაც ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. საწარმო ჩამდინარე წყლები 1 400 $м^3$ ჯამური მოცულობის ჰორიზონტალურ სალექარს მიეწოდება და მექანიკური გაწმენდის შემდეგ, მესაკუთრესთან შეთანხმების საფუძველზე, ვარციხის წყალსაცავის სადრენაჟო-სანიაღვრე წყალშემკრებ არხში (GPS კოორდინატები: X-310694 X-4669742) ჩაედინება. აღნიშნული არხი ვარციხე ჰესის სადერივაციო არხს უერთდება. სალექარის ზომები

და ეფექტურობა ჩამდინარე წყლების 98%-იანი ეფექტურობით გაწმენდას უზრუნველყოფს და ჩამდინარე წყლებში არსებული შეწონილი ნაწილაკები 60 მგ/ლ-ს არ გადააჭარბებს. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლის პოტენციური დაბინძურების წყაროების არსებობის და ასეთის შემთხვევაში, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლის შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, მითითებული საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორიაზე არსებული გაფრქვევის წყაროების გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ადგილი აქვს არაორგანული მტვრის და ნახშირწყალბადების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს მნიშვნელოვნად გაზრდილი წარმადობისა (115 $მ^3$/სთ) და მიმდებარედ არსებული ობიექტებიდან მოსალოდნელი გაფრქვევების გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება კანონმდებლობით მიღებული ნორმების დადგენის საზღვრებთან მიმართებით, დეტალურ შესწავლას და შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს, რაც საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე კვლევის საგანია.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების ძირითადი წყაროა ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში მოცემულია საწარმოს ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშება, რომლის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელი კორპუსთან მიღებული ხმაურის დონე 40,478 დბა-ს შეადგენს. ვინაიდან შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოდან 500-მეტრიან რადიუსში ასევე ფიქსირდება სხვადასხვა შენობა-ნაგებობები, რომელთა ფუნქციური დანიშნულება ვერ დგინდება, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურით მოსალოდნელი ზემოქმედება, კუმულაციური ზემოქმედებისა და მიმდებარედ არსებული შენობა-ნაგებობების დაზუსტებული ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, დამატებით შესწავლა-შეფასებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას მოითხოვს, რაც საქმიანობის გზშ-ის ეტაპზე კვლევის საგანია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო (კოდი: 20 03 01) და სახიფათო ნარჩენების (კოდები: 15 02 02*; 13 02 06*; 13 03 10*; 17 05 05*) წარმოქმნა, რომელთა მართვა „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების დაცვით განხორციელდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, შპს „რონი“-ს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმოს ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილია და მასზე მცენარეული საფარი და ცხოველთა ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების

ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და II დანართის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში შპს „რონი“-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს გზშ-ს**.

2. შპს „რონი“ ვალდებულია კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა.

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „რონი“-ს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „რონი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების მერიის საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/596-21-4-202608190922